საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-728
2025 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

„დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 2 მაისის №01-74 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 2 მაისის №01-74 ბრძანებაში (ვებგვერდი, 03/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 480040000.22.030.016194) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის:

ა) **მე-6 მუხლის მე - 7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ვადას, საქართველოს მოქალაქის დაქირავების შემთხვევაში, ადგილსამყოფელი ქვეყნის სპეციფიკისა და დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების საჭიროების გათალისწინებით, განსაზღვრავს მინისტრი/დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი/საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.“;

ბ) **მე-6 მუხლს მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს 7^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

,,7^1. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ვადას, უცხო ქვეყნის მოქალაქის დაქირავების შემთხვევაში, განსაზღვრავს მინისტრი/დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი/საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით.“;

გ) **მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობაზე პირის დასანიშნად, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ან სამინისტროს იურიდიულ საკითხთა, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის დირექტორატის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის (შემდგომში – ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი) უფროსის/პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ინიცირებით და მინისტრის გადაწყვეტილებით, კონკრეტულ ვაკანსიაზე შესაძლებელია გამოცხადდეს კონკურსი, რომლის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის სამართლებრივი აქტით.“;

დ) **11^1 მუხლის:**

დ.ა) **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის პოზიციაზე, შესაბამისი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის წარდგინებითა და მინისტრის უფლებამოსილების ვადით მიიღება პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-6 მუხლის 3^1 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.“;

დ.ბ) **მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირებს ენიჭებათ დიპლომატიური რანგი, კანონმდებლობით დადენილი წესის შესაბამისად.“;

დ.გ) **მე-7 პუნქტს დაემატოს ,,ი“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

,,ი) სამინისტროს რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით.“;

დ.დ) **მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,10. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები ირიცხებიან დიპლომატიური სამსახურის რეზერვში.“;

ე) **33^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. პროფესიულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების

ხელშეწყობის მიზნით, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს შემდეგი სასწავლო პროგრამების განხორციელებას;

ა) დიპლომატიურ სამსახურში დამწყები პროფესიული საჯარო მოხელეების სასწავლო პროგრამა;

ბ) საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამა;

გ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში ადმინისტრაციული მენეჯერის დასანიშნად მოსამზადებელი პროგრამა.

2. სამინისტროს მოსამსახურეთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უზრუნველყოს სხვადასხვა ტრენინგების, სემინარისა და სასწავლო კურსის ჩატარება.";

ვ) **44-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. მოსამსახურე ვალდებულია მივლინებაში გამგზავრებამდე 2 კვირით ადრე მინისტრს ან სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის კოორდინაციაზე პასუხისმგებელ მინისტრის მოადგილეს წარუდგინოს მივლინების შესახებ მოხსენებითი ბარათი, რომელშიც უნდა აღინიშნოს მივლინების ადგილი, მიზანი, საფუძველი და სამივლინებო ხარჯების გამღები მხარე.";

ზ) **46-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ^{1}" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ნ^{1}) ამ წესის 11^{1} მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირები, ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;".

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **მაკა ბოჭორიშვილი**